



ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მერმისი“

(ს/ნ 201947340)

30 ოქტომბერი 2024

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11-24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12,
0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12,
0193 Tbilisi, Georgia

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს - „მერმისი“-ის (შემდგომში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, აუდიტორული დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს 2015“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან ჩვენ კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2024 წლის 1 სექტემბერს. კომპანიის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება მარაგების რაოდენობასა და მათ ხარისხობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლებიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია - 7,143,266 ლარის ღირებულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვერ

განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგების ნაშთთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ ჩავატარეთ დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები და ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალურ ღირებულებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 15,971,649 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თანხებსა და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ ჩავატარეთ დაგეგმილი აუდიტორული პროცედურები და ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება შემოსავლების ოდენობაზე 2023 წელს, რაც ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 45,134,692 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები შემოსავლის თანხასა და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს 2015“) შესაბამისად, ხოლო ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია აუდიტირებული დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2023 წლის წლიურ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ

ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს 2015“) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს ჩვენს მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით , თბილისი, საქართველო

30 ოქტომბერი 2024

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით, თბილისი, საქართველო

30 ოქტომბერი 2024

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	<u>შენიშვნა</u>	<u>31-12-2023</u>	<u>31-12-2022</u>	<u>31-12-2021</u>
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	2,577,564	2,390,330	1,411,558
არამატერიალური აქტივები		5,000	5,000	5,000
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	6	2,201,860	2,201,860	2,047,860
		4,784,424	4,597,190	3,464,418
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	7,143,266	9,290,737	5,053,286
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	27,843	138,065
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	15,971,649	10,912,123	4,998,879
ფული და ფულის ექვივალენტები	8	12,797,017	4,982,280	5,329,563
		35,911,933	25,212,984	15,519,792
სულ აქტივები		40,696,357	29,810,173	18,984,211
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		61,690	61,690	61,690
გაუნაწილებელი მოგება		34,267,032	28,093,266	16,267,295
		34,328,722	28,154,956	16,328,985
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები			-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	4,034,100	-	2,208,960
გადასახადები		32,508	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,301,026	1,655,218	446,266
		6,367,634	1,655,218	2,655,226
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		40,696,356	29,810,174	18,984,211

----- /სოსო დავითაშვილი/

----- /თამარ ასათიანი/

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	2,577,564	2,390,330	1,411,558
არამატერიალური აქტივები		5,000	5,000	5,000
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	6	2,201,860	2,201,860	2,047,860
		4,784,424	4,597,190	3,464,418
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	6	7,143,266	9,290,737	5,053,286
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	27,843	138,065
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	15,971,649	10,912,123	4,998,879
ფული და ფულის ექვივალენტები	8	12,797,017	4,982,280	5,329,563
		35,911,933	25,212,984	15,519,792
სულ აქტივები		40,696,357	29,810,173	18,984,211
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		61,690	61,690	61,690
გაუნაწილებელი მოგება		34,267,032	28,093,266	16,267,295
		34,328,722	28,154,956	16,328,985
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები			-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	13	4,034,100	-	2,208,960
გადასახადები		32,508	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,301,026	1,655,218	446,266
		6,367,634	1,655,218	2,655,226
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		40,696,356	29,810,174	18,984,211

 /ლელა დავითაშვილი/

 /თამარ ასათიანი/

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წელი

	<u>შენიშვნა</u>	<u>2023</u>	<u>2022</u>
შემოსავალი	10	45,134,692	37,998,037
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	11	(27,931,254)	(19,190,409)
საერთო მოგება		17,203,438	18,807,627
სხვა შემოსავალი		4,276	307,309
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები		(296,545)	(288,914)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(3,407,938)	(1,505,454)
საოპერაციო მოგება		13,503,231	17,320,567
საპროცენტო ხარჯები, ნეტო		(18,489)	(8,481)
საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო		(156,420)	(206,673)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		13,328,323	17,105,413
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,079,462)	(791,916)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		12,248,861	16,313,497

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2024 წლის 1 აპრილს.

----- /სოსო დავითაშვილი/

----- /თამარ ასათიანი/

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წელი

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	10	45,134,692	37,998,037
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	11	(27,931,254)	(19,190,409)
საერთო მოგება		17,203,438	18,807,627
სხვა შემოსავალი		4,276	307,309
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები		(296,545)	(288,914)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(3,407,938)	(1,505,454)
საოპერაციო მოგება		13,503,231	17,320,567
საპროცენტო ხარჯები, ნეტო		(18,489)	(8,481)
საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი), ნეტო		(156,420)	(206,673)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		13,328,323	17,105,413
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,079,462)	(791,916)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		12,248,861	16,313,497

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2024 წლის 1 აპრილს.


/სოსო დავითაშვილი/

დირექტორი


/თამარ ასათიანი/

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	61,690	16,267,295	-	16,328,985
განაწილებული მოგება	-	(4,487,526)	-	(4,487,526)
მიმდინარე წლის მოგება	-	16,313,497	-	16,313,497
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მთლიანი სრული ზარალი	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	61,690	28,093,266	-	28,154,956
განაწილებული მოგება	-	(6,075,094)	-	(6,075,094)
მიმდინარე წლის მოგება	-	12,248,861	-	12,248,861
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მთლიანი სრული ზარალი	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	61,690	34,267,032	-	34,328,722

----- /სოსო დავითაშვილი/

----- /თამარ ასათიანი/

დირექტორი


მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	61,690	16,267,295	-	16,328,985
განაწილებული მოგება	-	(4,487,526)	-	(4,487,526)
მიმდინარე წლის მოგება	-	16,313,497	-	16,313,497
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მთლიანი სრული ზარალი	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	61,690	28,093,266	-	28,154,956
განაწილებული მოგება	-	(6,075,094)	-	(6,075,094)
მიმდინარე წლის მოგება	-	12,248,861	-	12,248,861
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მთლიანი სრული ზარალი	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	61,690	34,267,032	-	34,328,722

 /ნუსო დავითაშვილი/

დირექტორი

 /თამარ ასათიანი/

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წელი

	2023	2022
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	39,874,007	32,049,137
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(27,225,927)	(23,024,053)
გადახდილი ავანსები	-	-
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(765,463)	(532,268)
საბანკო ხარჯები	(30,303)	(16,136)
გადახდილი გადასახადები	(1,686,352)	(1,176,344)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	10,165,962	7,300,336
შენატანები შვილობილ კომპანიებში	-	(154,000)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(415,682)	(863,561)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(415,682)	(1,017,561)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (+) / შემცირება (-)	-	-
გადახდილი დივიდენდი	(5,810,000)	(4,263,150)
გადახდილი სესხი	(5,165,966)	(6,832,663)
მიღებული სესხი	9,185,550	4,665,724
მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტები	(81,595)	(2,651)
საბანკო დეპოზიტებსა და ანაზღაურებზე დარიცხული პროცენტი	63,106	29,142
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(1,808,904)	(6,403,598)
შემოსავალი (+) / ზარალი გადაფასებიდან (-)	(126,639)	(226,459)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	7,814,737	(347,282)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,982,280	5,329,563
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12,797,017	4,982,280

----- /სოსო დავითაშვილი/

----- /თამარ ასათიანი/

დირექტორი


მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წელი

	2023	2022
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	39,874,007	32,049,137
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(27,225,927)	(23,024,053)
გადახდილი ავანსები	-	-
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(765,463)	(532,268)
საბანკო ხარჯები	(30,303)	(16,136)
გადახდილი გადასახადები	(1,686,352)	(1,176,344)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	10,165,962	7,300,336
შენატანები შვილობილ კომპანიებში	-	(154,000)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(415,682)	(863,561)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(415,682)	(1,017,561)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (+) / შემცირება (-)	-	-
გადახდილი დივიდენდი	(5,810,000)	(4,263,150)
გადახდილი სესხი	(5,165,966)	(6,832,663)
მიღებული სესხი	9,185,550	4,665,724
მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტები	(81,595)	(2,651)
საბანკო დეპოზიტებსა და ანაზღაურებზე დარიცხული პროცენტი	63,106	29,142
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(1,808,904)	(6,403,598)
შემოსავალი (+) / ზარალი გადაფასებიდან (-)	(126,639)	(226,459)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	7,814,737	(347,282)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,982,280	5,329,563
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12,797,017	4,982,280


სოსო დავითაშვილი/

დირექტორი


თამარ ასათიანი/

მთავარი ბუღალტერი

11-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „მერმისი“ (ს/ნ 201947340) (შემდგომში - კომპანია) არის 1995 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ქრისტინე შარაშიძის ქუჩა, N12.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

კომპანიის პარტნიორი	<u>31.დეკ.23</u>	<u>31.დეკ.22</u>	<u>31.დეკ.21</u>
სოსო დავითაშვილი, 01005002454	100.00%	100.00%	100.00%
სულ:	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო- სოსო დავითაშვილი.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება მისი წარდგენის მომენტში არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორ(ებ)ის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორ(ებ)ს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

- (ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები;
- დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|----------------------------|---------------|
| • შენობა-ნაგებობები | 30 – 50 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 – 10 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 5 – 10 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი; |
| • ძაღოვანი დანადგარები | 5 - 10 წელი |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუილ ძირითადი საშუალებების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალებების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალებების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალებების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;

- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და
- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

- (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და
- (ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);
- ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავის მხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს 34,328,722 ლარით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული თანაფარდობა უზრუნველყოფს კომპანიის აუცილებელ ლიკვიდურობას, ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებისათვის 2023 წლის შემდგომ პერიოდშიც.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა- ნაგებობები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	-	-	526,990	387,810	319,861	650,131	1,884,792
ისტორიული ღირებულება 01.01.2022	-	-	526,990	387,810	319,861	650,131	1,884,792
შემოსვლა	-	-	304,007	161,456	506,359	371,779	1,343,600
გასვლა	-	-	-	-	-	-133,386	-133,386
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	-	-	830,997	549,265	826,219	888,524	3,095,006
ისტორიული ღირებულება 01.01.2023	-	-	830,997	549,265	826,219	888,524	3,095,006
შემოსვლა	-	-	210,964	160,269	29,323	164,530	565,086
გასვლა	-	-	-	-	-	- 5,000	- 5,000
გადაცემები	-	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	-	-	1,041,961	709,535	855,542	1,048,054	3,655,092
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	-	168,329	60,735	49,198	194,972	473,233
დაგროვილი ცვეთა 01.01.2022	-	-	168,329	60,735	49,198	194,972	473,233
ცვეთა	-	-	27,631	58,242	42,030	103,541	231,443
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	-	195,960	118,976	91,228	298,512	704,676
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	-	-	195,960	118,976	91,228	298,512	704,676
ცვეთა	-	-	55,080	81,216	98,018	138,538	372,852
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-	-	251,040	200,192	189,246	437,050	1,077,528
საბალანსო ღირებულება							
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	-	-	358,662	327,075	270,663	455,159	1,411,558
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	-	-	635,037	430,289	734,992	590,012	2,390,330
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	-	-	790,921	509,342	666,297	611,004	2,577,564

6. მარაგები

	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
საქონელი	7,141,104	9,287,031	5,053,286
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,162	3,706	-
	7,143,266	9,290,737	5,053,286

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	15,825,847	10,493,198	4,372,022
გადახდილი ავანსები	387,786	439,079	641,125
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(241,984)	(20,153)	(14,268)
	15,971,649	10,912,123	4,998,879

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	8,749,634	4,960,916	5,313,146
ფული გზაში	4,034,100	-	-
ნაღდი	13,284	21,364	16,416
	12,797,017	4,982,280	5,329,563

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
კრედიტორული დავალიანება	2,214,472	1,624,750	434,439
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	56,214	21,810	4,756
მიღებული ავანსები	30,340	8,658	7,071
	2,301,027	1,655,218	446,266

10. შემოსავალი

	2023	2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	45,027,319	37,996,596
სხვა შემოსავალი*	107,373	1,441
	45,134,692	37,998,037

* შემოსავალი ლოჯისტიკური საქმიანობიდან

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
მასალა/ნედლეულის ხარჯი	27,931,254	19,190,409
სხვა დაკავშ. ხარჯი	-	-
	27,931,254	19,190,409

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	997,110	682,126
ადმინისტრაციული ჯარიმები	951,301	-
ცვეთა და ამორტიზაცია	372,852	231,443
შესაძლო დანაკარგების რეზერვი	212,862	5,886
იჯარის ხარჯი	160,068	196,478
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	109,250	125,763
საპენსიო ხარჯი	46,637	18,141
დაზღვევის ხარჯი	36,065	15,227
ბანკის საკომისიო	30,303	16,142
წარმომადგენლობითი ხარჯი	4,005	50,380
სხვა ხარჯი	487,485	163,869
	3,407,938	1,505,454

13. მიღებული სესხები

	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
სესხი ბანკში	4,034,100	-	2,208,960
სხვა სასესხო ვალდებულება	-	-	-
	4,034,100	-	2,208,960

*ვალუტაში აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს - 4.5%-6.3%-ს

14. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი, ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო;

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში; ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ვალდებულებები	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
მიღებული სესხები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(39,419)	(96,251)	(32,483)
სულ ეფექტი ვალდებულებებზე	(39,419)	(96,251)	(32,483)

მოთხოვნები	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
მიღებული სესხები	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	59,849	36,739	36,739
სულ ეფექტი მოთხოვნებზე	59,849	36,739	36,739

14. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

	2023	2022
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი		
ხელფასი და სხვა გასამრჯელო	128,900	78,061
სულ ხელფასი და სხვა გასამრჯელო	128,900	78,061
დაკავშირებული მხარეებიდან საქონლის/მომსახურების შესყიდვა		
საქონლის და მომსახურების შესყიდვა	119,361	188,703
სულ საქონლის და მომსახურების შესყიდვა	119,361	188,703


The background of the page is a light cream color with a fine, grainy texture. Scattered across the upper half are numerous translucent, three-dimensional geometric shapes, primarily cubes and rectangular prisms. These shapes are in shades of light blue and pale orange, giving the impression of floating or falling. The shapes are semi-transparent, allowing the background texture to be seen through them.

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



ფაქტები კომპანიის შესახებ



MERMISI

კომპანიის დასახელება:

შპს „მერმისი“

რეგისტრაციის თარიღი:

11 ოქტომბერი 1995 ს/ნ 201947340

საწარმოს იურიდ./ფაქტ. მისამართი:

საქართველო, თბილისი,
საბურთალოს რაიონი,
ქრისტინეშარაშიძის ქუჩა, N12

დაქირავებულ პირთა რაოდენობა:

40

დარგი:

ფარმაცია

მთლიანი აქტივების ღირებულება:

40 მლნ ლარზე მეტი

კომპანიის აქციონერი (100-იანი წილი) (1):

სოსო დავითაშვილი, (პ/ნ 01005002454)



საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებული ფართიდან, რომელიც მდებარეობს თბილისში (აღმაშენებლის გამზირი 142).

კომპანიის მთლიანმა შემოსავალმა 2023 წელს გადააჭარბა - 45 მლნ ლარს.

კომპანიის მთლიანი აქტივები 31.12.2023 წლის მდგომარეობით აჭარბებს - 40 მლნ. ლარს.

კომპანია ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტს და შემდგომ მათ რეალიზაციას.

2023 წელს კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ გადააჭარბა 1.6 მლნ ლარს.



პროდუქციის ხარისხის კონტროლი

საზოგადოება აწარმოებს სხვადასხვა პროდუქციის იმპორტს საქართველოში და შემდგომ მათ რეალიზაციას. კომპანიას მაქსიმალურ კონტროლზე ყავს აყვანილი პროდუქციის ხარისხის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი გამოყენების ვადებთან.





სამუშაო გარემო



კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ადამიანური რესურსების განყოფილებისათვის დასმულ მთავარ დავალებას წარმოადგენს კომპანიაში სამუშაო გარემოს მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა. კომპანიაში დასაქმებულ პირთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ ადგილობრივებს. კომპანიაში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობამ 2023 წელს შეადგინა - 40 პირი.

ადამიანური რესურსების განყოფილების მიერ მუდმივად ხდება ადმინისტრაციის გადამზადება და შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის მუდმივი მონიტორინგი. ადამიანური რესურსების განყოფილება კომპანიაში დასაქმებულ პირებს პერმანენტულად აწვდის ინფორმაციას საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მათი უფლებების შესახებ.



ეკოლოგიური პოლიტიკა

კომპანიის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ზოგადი პოლიტიკის ნაწილს, მთლიანად მიმართულია კომპანიის საქმიანობით გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისაკენ. ეკოლოგიური პოლიტიკა ასევე მოიცავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პოლიტიკას.



კომპანია დროულად ასრულებს ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კომპანიის ხელმძღვანელობა დამატებით ცდილობს ზუსტად დაიცვას გარემოსდაცვის კუთხით ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი დირექტივები და სტანდარტები.



მომავლის ხედვა

კომპანია უახლოესი სამი წლის განმავლობაში გეგმავს საქონლის ასორტიმენტის შევსებას ,რაც წინასწარი საპროგნოზო გათვლებით კომპანიას მოუტანს გარე ბაზარზე მისი წილის ზრდას.



მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია


1 აპრილი 2024

შპს „მერმისი“



მომავლის ხედვა

კომპანია უახლოესი სამი წლის განმავლობაში გეგმავს საქონლის ასორტიმენტის შევსებას ,რაც წინასწარი საპროგნოზო გათვლებით კომპანიას მოუტანს გარე ბაზარზე მისი წილის ზრდას.



მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

1 აპრილი 2024

შპს „მერმისი“